გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 21

2023 წლის 13 იანვარი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურის (ს/ნ 418465315) 2022 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურის (ს/ნ 418465315) 2022 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურის (ს/ნ 418465315) 2022 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურის მიერ გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში გაწეული სამუშაოების შესახებ

2022 წლის ანგარიში

სამსახურის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობა.

2022 წელს სამსახურის კანცელარიაში შემოვიდა - 395 წერილი, ხოლო ორგანიზაციიდან გასულია - 505 წერილი. ა(ა)იპ-ს თანამშრომელთა განცხადებების და მოხსენებითი ბარათების რაოდენობა შეადგენს - 405. გამოიცა - 135 ბრძანება (მონაცემები აღებულია 2022 წლის 23 დეკემბრის მდგომარეობით).

ორგანიზაციის მომსახურებაში არსებული სასმელი წყლის, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების ძირითადი შემადგენელი ნაწილებია:

- წყალსადენის თვითდენითი სათავე ნაგებობები - 9 ერთეული;
- რკინა-ბეტონის და ლითონის წყალსამარაგო რეზერვუარები - 200 ერთეული;
- სასმელი წყლის სატუმბო სადგურები - 10 ერთეული;
- საქლორატორო სადგურები - 45 ერთეული;
- სასმელი წყლის მაგისტრალური და შიდა ქსელები საერთო სიგრძით - 675 კილომეტრამდე;
- ღია ტიპის ელექტრო ქვესადგურები - 24 ერთეული;
- სასმელი წყლის ჭაბურღილები - 135 ერთეული;
- წყალარინების გამწმენდი სატუმბო სადგური - 3 ერთეული;
- წყალარინების ქსელები - 13,20 კმ;
- სამელიორაციო სატუმბო სადგურები - 3 ერთეული;
- სამელიორაციო ჭაბურღილები - 4 ერთეული;

გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში დღეის მდგომარეობით 185 ჭაბურღილია. აქედან 135 ჭაბურღილს და სასმელი წყლის სისტემების ყველა შემადგენელ ნაწილს დღემდე ემსახურება ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური“ .

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური“ წლის განმავლობაში რეგულარულად ახდენდა სასმელი წყლის ლაბორატორიულ შემოწმებას, შესაბამისად ხორციელებდა სასმელი წყლის სისტემების დეზინფექცია და წყლის გაუსნებოვნება. წლის განმავლობაში დაფიქსირდა წყლის დაბინძურების ერთი შემთხვევა, რომელიც აღმოიფხვრა დაუყოვნებლივ.

წლის განმავლობაში ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური“ შემუშავებული გეგმის მიხედვით ახორციელებდა დებულების მიხედვით დაკისრებულ მოვალეობებს. 2022 წლის განმავლობაში სამსახურმა მუნიციპალიტეტის სოფლებში მოახდინა 726 გასვლა. შეიცვალა ამორტიზებული წყალსადენის ქსელი საერთო სიგრძით 5695.65 მეტრი. ჭაბურღილებში შეიცვალა შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამოუყენებელი 13 ცალი სიღრმული ტუმბო და დაზიანებული 14 ცალი ელექტრო ძრავა. ამასთან ერთად შეკეთდა მათთან დაკავშირებული ელექტრო მეურნეობა, კაბელები სიგრძით 2100.50 მ. მომსახურება გაეწია სამსახურის ბალანსზე რიცხულ დაზიანებულ სატრანსფორმატორო 2 ქვესადგურს. დაზიანების აღდგენა ხორციელდებოდა უმოკლეს ვადაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელთა მომართვების საფუძველზე.

თითოეულ სამუშაოზე შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტი, რომლებიც დამოწმებულია შესაბამისი სამსახურის სპეციალისტების და ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების ხელმოწერებით.

2022 წლის განმავლობაში ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური“ სრულყოფილად უწევდა მომსახურებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ წყალმომარაგების სისტემებს ქალაქ გორის წყალსადენის გარდა. იღებდა ზომებს, რათა სამსახურის დაქვემდებარებაში არსებულ წყალმომარაგების სისტემებში ტექნიკური მიზეზით არ შექმნილიყო სასმელი წყლის დეფიციტი, ხოლო მათი წყობილებიდან გამოსვლის შემთხვევაში დროულად ხდებოდა მათი შესწავლა და სრულყოფილი აღდგენა.

2022 წლის განმავლობაში სამსახური მუშაობდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების, წყალარინებისა და სამელიორაციო ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების შესახებ არსებული ტექნიკური ინფორმაციის დამატებით აღწერასა და შესწავლაზე, რომელიც იკინძებოდა სამსახურში არსებულ ტექნიკურ მონაცემთა ჟურნალში.

2022 წლის განმავლობაში ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურს“ გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან გადმოეცა რამოდენიმე სოფელში ახლად რეაბილიტირებული სასმელი წყალმომარაგების სისტემები მათი მოვლა-პატრონობისათვის. სამსახურის ძალებით, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მერიის ზედამხედველობის

სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ხდებოდა ამ ობიექტების შესწავლა დეფექტებისა და ხარვეზების გამოვლენის მიზნით. შემოწმების შედეგები დადგენილი წესით გადაეცემოდა გორის მუნიციპალიტეტის მერიას შემდგომი რეაგირებისათვის.

სამსახურის 2022 წლის ბიუჯეტში სუბსიდიით გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 1004800 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების თანხამ 27500 ლარი, სულ 1032300 ლარი.

აღნიშნული თანხიდან სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობისთვის, განვითარებისთვის და ხელფასებზე გაიხარჯა 851254 ლარი.

აქედან შრომის ანაზღაურება შტატით გათვალისწინებულ თანამშრომლებზე (32 თანამშრომელი) 326075 ლარი.

ა(ა)იპ 2022 წელს გეგმავს სადღესასწაულო (საახალწლო) პრემიის გაცემას.

შტატგარეშე ხელშეკრულებით აყვანილ თანამშრომლებზე (65 თანამშრომელი) 246725 ლარი.

ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-პატრონობისთვის 153546 ლარი. ორგანიზაციის ბალანსზე იმყოფება 3 ერთეული სპეც. ტექნიკა (ტრაქტორი 2 ერთეული, ამწე კალათა 1 ერთეული), საავარიო ჯგუფის მომსახურების 3 ა/მანქანა და მაღალი გამავლობის 2 ა/მანქანა - სულ 8 ერთეული.

არაფინანსური აქტივებიდან ათვისებულია 27500 ლარი.

2022 წელს სამსახურის მიერ ათვისებულმა თანხამ შეადგინა 1032300 ლარი, მთლიანი სუბსიდიის 100%.

2022 წლის დეკემბრის თვის ბოლოს განხორციელდება ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის მერიის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური“-ს ბალანსზე რიცხული მასალების, ინვევტარის და არაფინანსური აქტივის ინვენტარიზაცია. შედეგი გეცნობებათ მოგვიანებით.

დირექტორი: ბონდო მარუაშვილი

საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი: მარინე ღვინიაშვილი